

გიორგი გაბიტაშვილი

---

დაიბადა 1982 წელს.

2004 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2013 წლის 13 ივნისიდან დღემდე გიორგი გაბიტაშვილი საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის პოსტს იკავებს.

გიორგი გაბიტაშვილმა კარიერა დაიწყო 2007 წელს საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების პროგრამით. სტაჟირების დასრულებისთანავე ის დაინიშნა პროკურორად შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში. 2009 წელს გიორგი გაბიტაშვილი დააწინაურეს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსად, სადაც ის საქმიანობდა 2013 წლამდე.

2013 წლის 14 იანვრიდან გიორგი გაბიტაშვილმა პროფესიული საქმიანობა გააგრძელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე. გიორგი გაბიტაშვილს გავლილი აქვს არაერთი ტრენინგი პროფესიული განვითარების მიზნით, კერძოდ სასამართლო უნარ-ჩვევების, სამართლებრივი წერის, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კუთხით.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.